

დამტკიცებულია

*წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქმი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი*

№ 10 26.12. 2017წ.

ლ. ხვედელიძე

სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება

ნდ №2-010301-03

ბათუმი

2017

შინაარსი

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები.....	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები	4
მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლებამოსილება.....	4
მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები (სუბიექტები).....	4
მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობები	4
მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება.....	6
მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე.....	7
მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა.....	7
მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის საჯაროობა.....	8
მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები	8
მუხლი 10. ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.....	8
მუხლი 11. სტუდენტური თვითმმართველობის საკონტაქტო ინფორმაცია.....	8
მუხლი 12. დასკვნითი დებულებები.....	8

პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება სტუდენტური თვითმმართველობის ნორმატიული დოკუმენტია;
2. დებულება:
 1. შემუშავებულია სტუდენტური თვითმმართველობის და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
 2. დამტკიცებულია ბნსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
 3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. დებულება ვრცელდება ბნსუ-ს შემდეგ დოკუმენტებზე:
 1. სტუდენტური თვითმმართველობის გადაწყვეტილებები;
 2. ყველა დოკუმენტი, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის გადაწყვეტილებები;
5. დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
 3. ბნსუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობაში (ელ.ვერსია).
6. ნორმატიული საფუძველი:
 1. საქართველოს კონსტიტუცია;
 2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
 3. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
 4. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
 5. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
 6. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
 7. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
 8. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა;

ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს - ხარისხის სისტემა;
- ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- პროფესიული განათლების კრედიტი - პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის (დატვირთვის) გამომხატველი ერთეული;
- სდ - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სსა - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;
- ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;
- აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
- სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა (შემდგომში - სტუდენტური თვითმმართველობა) არის ბნსუ-ს შემადგენლობაში შექმნილი ორგანო, რომელიც აერთიანებს ბნსუ-ს სტუდენტებს და პროფესიულ სტუდენტებს, არის მათი წარმომადგენლობითი ორგანო და ბნსუ-ს ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ბნსუ-ს შინაგანაწესით და წინამდებარე დებულებით მინიჭებულ უფლებამოსილებას როგორც ბნსუ-ს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
2. ბნსუ-ს ხელმძღვანელობას არ აქვს უფლება ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
3. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, არ აწარმოებს დამოუკიდებელ ფინანსურ ოპერაციებს. მის ფინანსურ ოპერაციებს წარმართავს ბნსუ-ს საფინანსო სამსახური;
4. სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ბნსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლებამოსილება

1. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:
 - განურჩევლად სქესისა, კანის ფერისა, ადმსარებლობისა, პოლიტიკური შეხედულებისა, მოქალაქეობისა და ეთნიკური კუთვნილებისა, აკადემიური მოსწრების და სოციალური მდგომარეობისა სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა პიროვნული ღირსებების, უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა;
 - ბნსუ-ს მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
 - სასწავლო პროცესის და განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილეობა;
 - სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ინციდენტების მხარდაჭერა, პიროვნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში დახმარება;
 - ბნსუ-ს მიერ გამართულ ღონისძიებებში ყველა სტუდენტისთვის და პროფესიული სტუდენტისთვის თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
 - სტუდენტებში და პროფესიულ სტუდენტებში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაზიარება, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და კანონისადმი პატივისცემის გრძობის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
 - ბნსუ-ს განვითარებისა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა და ამ პროცესებში ბნსუ-ს სტუდენტთა ჩართულობა.
2. სტუდენტური თვითმმართველობა უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვას, მათ მონაწილეობას ბნსუ-ს მართვაში, წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს ბნსუ-ს მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში, უფლებამოსილია შეიმუშავოს წინადადებები ფაკულტეტის ან/და ბნსუ-ს მართვის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და/ან წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის მიზნით, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით ან დამოუკიდებლად შეაფასოს სასწავლო პროცესი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობა, წინამდებარე დებულებაში მითითებული მიზნების განსახორციელებლად მოაწიოს შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები, დაასაბუთოს, მოითხოვოს, მიიღოს და მიზნობრივად განკარგოს შესაბამისი დაფინანსება, დაამყაროს კავშირი საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტურ თვითმმართველობებთან და კავშირებთან, ითანამშრომლოს სხვა სტუდენტურ გაერთიანებებთან, სამთავრობო და არასამთავრობო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვ.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები (სუბიექტები)

1. ბნსუ-ში სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურაში მოიაზრება: ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება, რომელიც აერთიანებს ფაკულტეტების სტუდენტთა თვითმმართველობების და პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრებს, ფაკულტეტების სტუდენტთა თვითმმართველობები, პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა;
2. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები (სუბიექტები):
 - ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;
 - ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე;
 - ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა (არსებობის შემთხვევაში);
 - ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობა;
 - პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა;
 - ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე;
 - პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე;
3. სტუდენტურ თვითმმართველობაში მოქმედებს დაქვემდებარების სისტემა, რომლის განსაზღვრავს ანგარიშვალდებულებებს:
 - ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება - ბნსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს წინაშე;
 - ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე, ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობა და პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა - ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების წინაშე;
 - ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე - ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის, ბნსუ-ს თვითმმართველობის საერთო კრების და ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის წინაშე;
 - პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარე - პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის, ბნსუ-ს თვითმმართველობის საერთო კრების და ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობები

1. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წევრონა არის ნებაყოფლობითი. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში, ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევნებში, იყოს არჩეული ბნსუ-ს და ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარედ, აირჩიოს და იყოს არჩეული ბნსუ-ს საბჭოებში/კომისიებში/სხვ., მიიღოს მონაწილეობა

ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზირებულ ღონისძიებებში და თავად შეიმუშაოს ისინი, მოითხოვოს და მიიღოს სრული ინფორმაცია ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ, წინადადებებით მიმართოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებას, მოითხოვოს ბნსუ-ს თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომის ჩატარება, მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისაგან მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ბნსუ-ს შინაგანაწესით სტუდენტისთვის და პროფესიული სტუდენტისთვის და წინამდებარე დებულებით თვითმმართველობის წევრისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას ბნსუ-ს შინაგანაწესისი, ეთიკის კოდექსი, ქვეყნის წესები და ბნსუ-სთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, დაიცვას ბნსუ-ს და სტუდენტური თვითმმართველობის პრესტიჟი და ავტორიტეტი;

2. ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობა (შემდგომში - ფაკულტეტის თვითმმართველობა) არის ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო. პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა (შემდგომში - პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობა) არის პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო;

3. ფაკულტეტის და პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრთა არჩევა:

3.1. ფაკულტეტის თვითმმართველობის წევრის არჩევა ხდება ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ ფაკულტეტის სტუდენტთა და მაგისტრანტთა (შემდგომში - სტუდენტები) შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით. ფაკულტეტის თვითმმართველობის წევრები ხდებიან ის კანდიდატები, რომლებმაც არჩევნებზე ყველაზე მეტი ხმა მიიღეს, ბოლო ადგილზე თანაბარი ხმების მქონე რამდენიმე კანდიდატის შემთხვევაში ინიშნება არჩევნების მომდევნო ტური (გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში ყველა მათგანი ხდება ფაკულტეტის თვითმმართველობის წევრი). თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს არანაკლებ 03 თვითმმართველობის წევრი. ფაკულტეტის თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა 02 წელია;

3.2. პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრის არჩევა ხდება დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიულ სტუდენტთა შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით. პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრები ხდებიან ის კანდიდატები, რომლებმაც არჩევნებზე ყველაზე მეტი ხმა მიიღეს, ბოლო ადგილზე თანაბარი ხმების მქონე რამდენიმე კანდიდატის შემთხვევაში ინიშნება არჩევნების მომდევნო ტური (გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში ყველა მათგანი ხდება პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრი). პროფესიული განათლების დეპარტამენტს ჰყავს არანაკლებ 03 თვითმმართველობის წევრი. პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება პროფესიული პროგრამით სწავლის ხანგრძლივობის ვადით;

4. ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარეს, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადით;

5. ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრის და ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია: თვითმმართველობის წევრობის ვადის დასრულება ან ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა - სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება, ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის გადაწყვეტილება, ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მოთხოვნა, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება, ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა. ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრობის შეწყვეტა იწვევს მისი, როგორც ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრის, ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარის და ბნსუ-ს საბჭოს/კომისიის/სხვ. წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრისთვის/თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება ახალი არჩევნები;

6. ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობა უფლებამოსილია შეიმუშაოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრიორიტეტების, მიზნების, საქმიანობის მიმართულებების, სამოქმედო გეგმების, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მოქმედ დებულებაში, გეგმებში ცვლილების/დამატებების პროექტები, მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში; შეიმუშაოს ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის სამოქმედო გეგმები, ღონისძიებები და სხვ.; ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების და ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიზნით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმები, ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები; საერთო სტრატეგიის ფარგლებში შეიმუშაოს და განახორციელოს ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის სამოქმედო გეგმები; აირჩიოს ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარე, ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრები; ბნსუ-ს თვითმმართველობის საერთო კრებას წარუდგინოს ბნსუ-ს თვითმმართველობის გამგეობის წევრების და გარე ურთიერთობებში ბნსუ-ს სახელით მოქმედ საბჭოებში/კომისიებში/სხვ. წარმომადგენლების კანდიდატურები; შეუწყვიროს უფლებამოსილება ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარეს, ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრს, ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის მიერ არჩეულ ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის და წარმომადგენლობითი საბჭოების, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის/კომისიის/სხვ. წევრებს; შეიმუშაოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის რეკომენდაცია; მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე და სხვ.;

7. ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის სხდომა:

7.1. ფაკულტეტის თვითმმართველობის სხდომა ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ (შემოდგომის სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს 20 დღეში) ან საჭიროებისამებრ - ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ან იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნას სხდომის ჩატარების შესახებ ხელს მოაწერს ფაკულტეტის თვითმმართველობის წევრთა ან ფაკულტეტის სტუდენტთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3. სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარე, ფაკულტეტის თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს დღის წესრიგში სხვა საკითხების შეტანა. ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ არანაკლებ ერთი კვირით ადრე განათავსდება ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და/ან ვებ-გვერდზე;

7.2. პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის სხდომა ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ (პროფესიული პროგრამებით სწავლის დაწყებიდან არაუმეტეს 20 დღეში) ან საჭიროებისამებრ - პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ან იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნას სხდომის ჩატარების შესახებ ხელს

მოაწერს პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრთა ან პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3. სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარე, პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს დღის წესრიგში სხვა საკითხების შეტანა. ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ არანაკლებ ერთი კვირით ადრე განთავსდება ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და/ან ვებ-გვერდზე;

7.3. ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის სხდომა:

- უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3;
- გადაწყვეტილებებს დებულობს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ღია კენჭისყრით ამტკიცებს ფაკულტეტის თვითმმართველობის სამოქმედო გეგმებს;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ღია კენჭისყრით დებულობს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ახალი დებულების შემუშავების, მოქმედ დებულებაში, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრიორიტეტებში, მიზმებში და გეგმებებში ცვლილების ან/და დამატებების შეტანის და სხვ. რეკომენდაციებს და განსახილველად წარუდგენს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებას;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ფარული კენჭისყრით იღებს რეკომენდაციას ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და განსახილველად წარუდგენს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებას;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრების და გარე ურთიერთობებში ბნსუ-ს სახელით მოქმედ საბჭოებში/კომისიებში/სხვ. წარმომადგენლების კანდიდატურებს ან მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის რეკომენდაციებს და განსახილველად წარუდგენს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებას;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარის, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს წევრის, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრის, ბნსუ-ს კომისიის ან სხვ. წევრი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის არჩევის/უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- სხდომასე დგება ოქმი, რომელშიც მითითებულია სხდომის ჩატარების თარიღი, დღის წესრიგი, გამოთქმული მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერს სხდომის მდივანი (ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი) და სხდომის თავმჯდომარე (ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარე ან სხდომაზე ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი, თუ დღის წესრიგშია ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი).

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება

1. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება არის ბნსუ-ს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანო, რომელშიც შედიან ფაკულტეტების და პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობების ყველა წევრი;

2. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების კომპეტენციებში შედის: ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრიორიტეტების, მიზნების, საკმიანობის მიმართულებების და გეგმების, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულების, მოქმედ დებულებაში ცვლილების ან/და დამატებების პროექტების შემუშავება, განსახილველად ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის დებულების/ცვლილებების პროექტების გადაცემა; მოქმედ დებულებაში ცვლილებების შეტანასთან ან ახალი დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული სამსახურის ინიციატივების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ცვლილებების შეტანაზე/ახალი დებულების შემუშავებაზე თანხმობის/უარის თქმის შესახებ; ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების განსახორციელებლად კომისიების/სამუშაო ჯგუფების/სხვ. შექმნა; ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევა/უფლებამოსილების შეწყვეტა; ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, გამგეობის უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა, გამგეობის სრული შემადგენლობისთვის ან გამგეობის წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა; გარე ურთიერთობებში ბნსუ-ს სახელით მოქმედ საბჭოებში/კომისიებში/სხვ. წარმომადგენლების არჩევა; ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საკმიანობასთან, სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და ბნსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოსთვის, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი - პარტნიორთა კრებისთვის, წარდგენა; ამ დებულებით გათვალისწინებული ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, კრების დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება და სხვ.;

3. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომა:

- ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ ან საჭიროებისამებრ - ბნსუ-ს თვითმმართველობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ან საჭიროებისამებრ - ბნსუ-ს თვითმმართველობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ან იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნას სხდომის ჩატარების შესახებ ხელს მოაწერს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის განგეობის წევრთა 1/2. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების წევრთა ან ბნსუ-ს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3. სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების წევრს და ბნსუ-ს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ს შეუძლიათ მოითხოვონ დღის წესრიგში სხვა საკითხების შეტანა. ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ არანაკლებ ერთი კვირით ადრე განთავსდება ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და/ან ვებ-გვერდზე;
- უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3;
- გადაწყვეტილებებს დებულობს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ღია კენჭისყრით ამტკიცებს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის სამოქმედო გეგმებს, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ახალი დებულების შემუშავების რეკომენდაციას/პროექტს, მოქმედ დებულებაში, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრიორიტეტებში, მიზმებში და გეგმებებში ცვლილების ან/და დამატებების პროექტებს;

- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ღია კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის შექმნის/გაუქმების, გამგეობის უფლებამოსილების ვადის და წევრთა რაოდენობის შესახებ;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ფარული კენჭისყრით ფაკულტეტების და პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობების მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან ირჩევს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრებს ან იღებს გადაწყვეტილებას მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ფარული კენჭისყრით ფაკულტეტების და პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობების მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან ირჩევს გარე ურთიერთობებში ბნსუ-ს სახელით მოქმედი საბჭოების/კომისიების/სხვა წევრებს ან იღებს გადაწყვეტილებას მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით ფარული კენჭისყრით ირჩევს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეს ან იღებს გადაწყვეტილებას მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- სხდომასე დგება ოქმი, რომელშიც მითითებულია სხდომის ჩატარების თარიღი, დღის წესრიგი, გამოთქმული მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერს სხდომის მდივანი (ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი) და სხდომის თავმჯდომარე (ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ან სხდომაზე ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი, თუ დღის წესრიგშია ბნსუ-ს თვითმმართველობის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი).

მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე

1. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე აირჩევა ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მიერ თავისი შემადგენლობიდან, მისი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადით. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია: სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის ვადის დასრულება ან ვადადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა - სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილება ან ბნსუ-ს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მოთხოვნა, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება, ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება ახალი არჩევნები;

2. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე: წარმოადგენს ბნსუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობას შიდა ურთიერთობებში (ბნსუ-ს ადმინისტრაციასთან, მართვის ორგანოებთან) და გარე ურთიერთობებში (სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და სხვ.); არის ბნსუ-ს სადისკვილინო კომისიის წევრი; არის ბნსუ-ს სოციალური დახმარების კომისიის წევრი; პასუხისმგებელია ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის საჭიანობაზე, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე, ბნსუ-ს ადმინისტრაციასთან და მართვის ორგანოებთან კომუნიკაციაზე და გარე ურთიერთობების სწორად წარმართვაზე; უფლებამოსილია წარმოადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულების და დებულებაში ცვლილებების პროექტი, უშუალოდ მოსული სტუდენტებს და პროფესიულ სტუდენტებს ბნსუ-ს მართვის ორგანოებთან და ადმინისტრაციასთან, ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, წარმომადგენლობითი საბჭოს, საქართველოს შემთხვევაში - პარტნიორთა კრებას წარუდგინოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივები, მოსაზრებები, მოთხოვნები და რეკომენდაციები, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსების მიღების მიზნით დაასაბუთოს დაფინანსების აუცილებლობა და ოდენობა; ვალდებულია ხელი შეუწყოს სტუდენტსა და ბნსუ-ს მართვის ორგანოებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას, დაიცვას ყველა სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის კანონიერი ინტერესები, უფლებები და თავისუფლებები, წარმოადგინოს და დაიცვას მისი ინტერესები ბნსუ-ს მართვის ორგანოებში და ადმინისტრაციაში, უზრუნველყოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებით მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება, სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ღონისძიებების მომზადება-ჩატარება და მიღებული დაფინანსების განკარგვა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დაგეგმილი საქმიანობის შესრულების მიმართულებით, მოახდინოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობისთვის გამოყოფილი დაფინანსებიდან გახარჯული თანხის აუდიტი, გახადოს ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის და პროფესიული სტუდენტისთვის, აუდიტის შედეგები ანგარიშის სახით მიაწოდოს ბნსუ-ს საფინანსო სამსახურს,

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა

1. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა შეიქმნას ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებით საერთო კრებებს შორის ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დაგეგმილი საქმიანობის წარმართვის, ფაკულტეტების და პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობების საქმიანობის კოორდინირების მიზნით;

2. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობას შეუძლია განკარგოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობისთვის გამოყოფილი დაფინანსება ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, განიხილოს და განახორციელოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელი პროგრამები და პროექტები, შექმნას დროებითი კომისიები, რომლებიც თავის უფლებამოსილებას წყვეტენ საკითხის ამოწურვისთანავე, გამგეობის წევრთა უმრავლესობით მოითხოვოს ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე მოწვევა, საერთო კრების დღის წესრიგში ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის და გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გეგმებში ცვლილებების განხორციელების და იმ საკითხების შეტანა, რომელთა გადაწყვეტა მიეკუთვნება ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების კომპეტენციას;

3. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის თავმჯდომარეა ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მიერ განისაზღვრება გამგეობის წევრთა რაოდენობა (თითოეული ფაკულტეტის და პროფესიული განათლების დეპარტამენტის თვითმმართველობებიდან თანაბარი რაოდენობით) და ვინაობა. გამგეობის და გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადა 01 წელია (თუ ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მიერ სხვა ვადა არ არის განსაზღვრული). გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია: ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის ვადის დასრულება ან ვადადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა - სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება, ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილება ან ბნსუ-ს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მოთხოვნა, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება, ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა. გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში

ტარდება ახალი არჩევნები უფლებამოსილებების დარჩენილი ვადით. მთლიანად ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებას. ახალი გამგეობის არჩევნები ტარდება მოქმედი გამგეობის უფლებამოსილების გასვლამდე;

4. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის სხდომა:

- იკრიბება სემესტრში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში ტარდება გამგეობის რიგგარეშე სხდომა. რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეს ან გამგეობის წევრთა 1/2-ს;
- უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სითითი შემადგენლობის 1/2;
- გადაწყვეტილებებს დებულობს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით;
- სხდომასე დგება ოქმი, რომელშიც მითითებულია სხდომის ჩატარების თარიღი, დღის წესრიგი, გამოთქმული მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერს სხდომის მდივანი (გამგეობის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი) და სხდომის თავმჯდომარე (ბნსუ-ს თვითმმართველობის თავმჯდომარე).

მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის საჯაროობა

ინფორმაცია ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის, პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების, დაგეგმილი სხდომების, ღონისძიებების და სხვ. შესახებ საჯაროა და განთავსდება ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და/ან ბნსუ-ს ვებ-გვერდზე. ასევე, საჯაროა ინფორმაცია ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ბნსუ-ს ყველა სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ამ ინფორმაციის მიღება შეუძლია ფაკულტეტის სტუდენტთა/პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობებში.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები

ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია: ბნსუ-ს ბიუჯეტიდან მიღებული ფიქსირებული დაფინანსება. ასევე, დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს: ბნსუ-ს პარტნიორთა კრების მიერ გამოყოფილი სუბსიდიები, ქალაქის მერიისგან, ქვეყნის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და სხვ. მიღებული გრანტები/დაფინანსება, დონორებისგან და სხვა-დასხვა ორგანიზაციისგან მიღებული გრანტები, შემოწირულობები, კანონმდებლობის შესაბამისად მესამე პირის მიერ ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობისთვის გადაცემული ქონება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსება.

მუხლი 10. ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

1. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა არ აწარმოებს დამოუკიდებელ ფინანსურ ოპერაციებს, მის ფინანსურ ოპერაციებს წარმართავს ბნსუ-ს საფინანსო სამსახური;
2. ფინანსური საქმიანობის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა ვალდებულია მოახდინოს გახარჯული თანხის აუდიტი და გახარჯული თანხის გაწერა;
3. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ვალდებულია აუდიტის შედეგები ანგარიშის სახით მიაწოდოს ბნსუ-ს საფინანსო სამსახურს, რომელიც დაფინანსების არამიზნობრივი ხარჯვის, ანგარიშში უზუსტობების, ხარვეზების, დარღვევების ან/და ყოველთვიური ანგარიშის არარსებობის შემთხვევაში უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დახარჯული დაფინანსების რევიზია;
4. ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა თავისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ვალდებულია ბნსუ-ს საფინანსო სამსახურს წარუდგინოს შემაჯამებელი ანგარიში, სადაც აისახება წლის განმავლობაში ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ მიღებული ყველა დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა, ხარჯების მიზნები, ოდენობა და ვადები და პასუხი გასცეს ყველა წარმოქმნილ შეკითხვაზე;
5. საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაცია დაფინანსების და გახარჯული თანხის შესახებ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრისთვის.

მუხლი 11. სტუდენტური თვითმმართველობის საკონტაქტო ინფორმაცია

ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: აჭარა, ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38, შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“; ოფიციალური ვებგვერდი: www.bntu.edu.ge; ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: info@bntu.edu.ge

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის (ყველა დოკუმენტში მოხსენიება შემოკლებით - „ბნსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა“) დებულება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე;
2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება ბნსუ-ში წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი ბათუმის ნავიგაციის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;
3. ბნსუ-ს პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შესრულონ მისი მოთხოვნები. ბნსუ-ს ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული სამსახურები;
5. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;
6. წინამდებარე დებულების მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმარტებლად;
7. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
8. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
9. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს სტუდენტური თვითმმართველობის ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.